აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
2017 წელი
10 ნოემბერი

დადგენილება № 12(17/18)

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის #19/ნ ბრძანების - ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის #227 ბრძანების - სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის #111/ნ ბრძანების - პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად, დამტკიცდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, მიღებული განათლების აღიარების, სტუდენტთა უფლება-მოვალეობების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტში, საფეხურების მიხედვით, სტუდენტის სტატუსის მოპოვების შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის კვალიფიკაციის მინიჭების, მიღებული განათლების აღიარების, სტუდენტთა უფლება-მოვალეობების პროცედურულ საკითხებს.

1.2. უნივერსიტეტში სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი შესასრულებლად სავალდებულოა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

1.3. სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითა უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, პროფესიულ, მასწავლებლის მოსამზადებელ და ქართულ ენაში მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

თავი II. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ბაკალავრიატის და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე

მუხლი 2. აწსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - აწსუ), უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვებას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტების შესაბამისად.

2.2. ბაკალავრიატისა და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2.3. დაწესებულებაში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ან მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით ან ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამის ფაკულტეტზე/პროგრამაზე.

2.4. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ (საბაკალავრო) საფეხურზე და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მქონე პირთა დაწესებულებაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

2.5. უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაცია მიმდინარეობს აწსუ-ში, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

2.6. აბიტურიენტთა ადმინისტრაიულ რეგისტრაციას ახორციელებს რექტორის ბრძანებით შექმნილი სარეგისტრაციო კომისია.

2.7. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს

უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

2.8. აბიტურიენტი, რომელმაც წარმატებით გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

2.9. რეგისტრაციის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ და დებს მათთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას.

2.10. რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა.

2.11. ის აბიტურიენტი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ დადგენილ ვადაში ვერ მოხვდა რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტში, უნივერსიტეტისათვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს აწსუ-ს ჩარიცხვის მოთხოვნით აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. რექტორი ვალდებულია, გამოსცეს ბრძანება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში.

მუხლი 3. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე

3.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 1 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლ ობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

თავი III. სტუდენტის სტატუსის მოპოვება მაგისტრატურის საფეხურზე

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება მაგისტრატურაში

4.1. დაწესებულების აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურა) სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის

შესაბამისად;

4.2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა/გამოცდები სპეციალობაში და უცხო ენაში.

4.3. გამოცდების ჩატარების ფორმა, მიმდინარეობა, კონკურსანტთა ნაშრომების გასწორების, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კონკურსანტთა რანჟირების წესი მტკიცდება ყოველწლიურად რექტორის სამართლებრივი ინდივიდუალური აქტით.

4.4. შიდა საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა/გამოცდები დგინდება პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის კოლეგიური ორგანო ფაკულტეტის საბჭო და მტკიცდება რექტორის სამართლებრივი ინდივიდუალური აქტით.

4.5. მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო საკონკურსო გამოცდა ტარდება წერითი ფორმით ან კომპიუტერთან ტესტირებით.

4.6. უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამებისათვის შესაძლებელია დადგინდეს ამ მუხლის 4.5. პარაგრაფისაგან განსხვავებული წესი, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებითა და რექტორის შესაბამისი ბრძანებით.

4.7. მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფუძველია კონკურსანტის წერილობითი განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და მაგისტრატურაში მისაღებ საუნივერსიტეტო გამოცდებში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ.

4.8. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელმაც წარმატებით გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საუნივერსიტეტო გამოცდის ჩასაბარებლად გადის რეგისტრაციას და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციის ნუსხას, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

4.9. უნივერსიტეტის შიგა საუნივერსიტეტიო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში მაგისტრანტობის კანდიდატი ირიცხება უნივერსიტეტში, რომელიც მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

4.10. რექტორის სამართლებრივი აქტი გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო პროგრამებზე

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) პირებისათვის, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ ბოლო 2 წლის ან მეტი ხნის განმავლობაში, სწავლობენ / სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები / კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საბაკალავრო ან ერთსაფეხურიან პროგრამაზე ჩაირიცხნენ ამ წესის მე-3

მუხლის თანახმად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

თავი IV. სტუდენტის სტატუსის მოპოვება დოქტორანტურაში საფეხურზე

მუხლი 6. დოქტორანტის სტატუსის მოპოვება

6.1. დოქტორანტურაში სწავლების უფლება აქვს სულ მცირე მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს განცხადება რექტორის სახელზე შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების სურვილის შესახებ, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს, რექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დოკუმენტების ნუსხა.

მუხლი 7. გამოცდების ჩატარების ორგანიზაცია

7.1. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ჩატარების მიზნით, იქმნება საუნივერსიტეტო კომისია საფაკულტეტო ქვეკომისიებით, რომლებიც შედგება საგნობრივი ჯგუფებისაგან.

7.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთათვის გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა განისაზღვრება რექტორის სამართლებრივი აქტით.

7.3. კონკურსს ატარებს რექტორის სამართებრივი აქტით შექმნილი საუნივერსიტეტო კომისია.

მუხლი 8. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ჩატარების ფორმა

8.1. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია ორი გამოცდის ჩაბარება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენა).

8.2. გამოცდების ჩატარებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიები.

8.3. უცხო ენაში გამოცდის ტესტი არის B2 დონის. უცხო ენის გამოცდა ტარდება პერსონალურ კომპიუტერთან Online რეჟიმში.

8.4. B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე კონკურსანტები თავისუფლდებიან უცხო ენაში მისაღები გამოცდებისაგან.

8.5. დოქტორანტურაში სპეციალობის მისაღები გამოცდა ტარდება წერა-ზეპირის ფორმით.

8.6. სპეციალობის მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის რექტორის მიერ იქმნება კომისიები, რომლებაც უნდა წარმოადგინონ საგამოცდო ბილეთები შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა. კონკრეტულ საგანში ბილეთების რაოდენობა უნდა იქნას არანაკლებ 20 - სა.

ბ. კონკრეტულ ბილეთში საკითხების რაოდენობა უნდა იქნას არანაკლებ 3- სა.

8.7. წარმოდგენილ ბილეთზე ხელს აწერს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი და მოწმდება ფაკულტეტის ბეჭედით.

8.8. კონკურსანტის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით.

მუხლი 9. სპეციალობაში კონკურსანტთა ნაშრომების გასწორება

9.1. კონკურსანთთა ნაშრომების გასწორების პროცედურა განისაზღვროს ყოველწლიურად რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10 . კონკურსანტთა რანჟირება და სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვა

10.1. უცხო ენასა და სპეციალობის გამოცდაზე მიღებული შეფასებების ჯამური ქულების მიხედვით თითოეული სადოქტორო პროგრამისათვის შედგეს მინიმალური კომპენტენციის ზღვარგადალახულ კონკურსანტთა რანჟირებული სია, სიაში კონკურსანტები დალაგდნენ შეფასებების კლებადობის მიხედვით

10.2. კონკურსანტები, რომელთა რიგითი ნომრები კონკურსანტთა რანჟირებულ სიებში არ აღემატება შესაბამისი სადოქტორო პროგრამისათვის განსაზღვრული საკონკურსო ადგილების რაოდენობას, სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე რექტორის ბრძანებით ჩაირიცხებიან უნივერსიტეტის დოქტორანტურაში.

10.3. ჯამური ქულების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭოს სპეციალობის გამოცდაში მიღებულ ქულას.

10.4. ჯამური ქულების და სპეციალობის გამოცდაში მიღებული ქულის თანაბრობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს შესამამისი ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 11. დოქტორანტურაში სწავლის საფასური

11.1. დოქტორანტურაში სწავლის საფასური განისაზღვროს 2750 (ორიათასშვიდას ორმოცდაათი) ლარით წელიწადში.

მუხლი 12. საუნივერსიტეტო სასწავლო გრანტის გაცემის პირობები, ოდენობა და დაფინანსების წყაროები

12.1. დაფინანსდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა სწავლის საფასურის მთლიანი მოცულობის არაუმეტეს 40% - ისა თითოეულ ფაკულტეტზე.

12.2. დაფინანსებული თანხის არანაკლებ 30% თითოეულ ფაკულტეტზე უნდა გადანაწილდეს იმ პირებზე, რომელთაც სპეციალობის გამოცდაში დააგროვეს არანაკლებ 81 ქულისა, ხოლო უცხო ენის გამოცდაში კი არანაკლებ 61 ქულისა.

12.3. ფაკულტეტი უფლებამოსილია განიხილოს დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა მიზნობრივი დაფინანსების საკითხი, მაგრამ არაუმეტეს ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურის მთლიანი მოცულობის 10%-სა. დაფინანსება განხორციელდეს შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე, რომელიც წარედგინება რექტორს.

12.4. საფაკულტეტო დაფინანსების ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება და დეპარტამენტების შემადგენლობების სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

12.5. დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა დაფინანსების საკითხი განხილული იქნას ფაკულტეტების საბჭოების სხდომებზე. საბჭოს სხდომის თარიღის შესახებ ინფორმირებულ იქნას შესაბამისი ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხული ყველა პირი, ფაკულტეტზე მოქმედი ყველა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და დოქტორანტურაში ჩარიცხულ პირთა ყველა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელი.

12.6. ფაკულტეტის საბჭოების გადაწყვეტილება ეცნობება უნივერსიტეტის რექტორს.

12.7. 12.3 და 12.6 მუხლებით წარდგენილ ინფორმაციის გათვალისწინებით, სადოქტორო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ჩარიცხვისა და მათი დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი და ფორმდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

თავი V. აწსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

13.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომლითაც განისაზღვრება ვაკანტური ადგილები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და მიღების ვადა.

13.2. მიღება შესაძლებელია განხორციელდეს შემოდგომისა და გაზაფხულზე.

13.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საწყის საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების შედეგები.

13.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ საფეხურზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა ტესტირების შედეგები.

13.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება ხორციელდება აწსუ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

13.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.7. პროფესიული სტუდენტის დატვირთვა, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სწავლის საფასური, დამატებითი სემესტრი განისაზღვრება უნივერსიტეტის 2015 წლის 13 აგვისტოს აკადემიური საბჭოს დადგენილებით **№87 (14/15).**

თავი VI. პირის სტატუსის მოპოვება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე

მუხლი 14. პირის სტატუსის მოპოვება და გამოცდის ჩატარების ფორმა

14.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის მოპოვების საფუძველია სასერთიფიკატო გამოცდის ჩაბარება კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება № 111/ნ 5.09. 2016 წ. და უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აწსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა, რომელიც ტარდება წერითი ფორმით.

14.2. კონკურსანტის საგამოცდო ნამუშევარი ფასდება 100-ქულიანი სისტემით.

მუხლი 15. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაფინანსება

15.1. პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული კვოტების შესაბამისად.

მუხლი 16. საგამოცდო განაცხადი. კონკურსანტთა რეგისტრაცია. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

16.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ცენტრის მიერ

ორგანიზებული გამოცდით და წარმატებით ჩააბარა აწსუ-ს მიერ განსაზღვრული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა.

16.2. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარება. პროგრამაზე დაიშვებიან მოქმედი მასწავლებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საგნის გამოცდა ან არიან სერთიფიცირებულები; ასევე სერთიფიცირებული არამოქმედი მასწავლებლები. ისინი სარგებლობენ სახელმწიფო დაფინანსებით.

16.3. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აწსუ-ს მიერ განსაზღვრული შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე აპლიკანტი დაიშვება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დროულად გაიარა რეგისტრაცია სარეგისტრაციო კომისიაში და წარადგინა სათანადო საბუთები.

16.4. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აწსუ-ს მიერ განსაზღვრულ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფუძველია აპლიკანტის წერილობითი განცხადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაში მონაწილეობის მიღების სურვილის შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დოკუმენტების ნუსხა დამტკიცებული უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 17. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის მიმდინარეობა

17.1. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის მიმდინარეობის პროცედურები, კონკურსანთთა ნაშრომების გასწორების კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, კონკურსანთთა რანჟირება, პროგრამაზე განისაზღვრება ყოველ სასწავლო წელს რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 18. პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

17.2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

თავი VII. სტატუსის მოპოვება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე

მუხლი 19. პროგრამაზე დაშვებისა და სტატუსის მოპოვების წინაპირობები

19.1. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის II მუხლის ჰ[35] ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთიანი ეროვნული გამოცდების, მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისათვის.

19.2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლა აუცილებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

19.3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არის 60-კრედიტიანი და მისი სწავლება სავალდებულოა პირველი სასწავლო წლის განმავლობაში.

19.4. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს.

19.5. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია არაქართულენოვანი მსმენელებისათვის ქართულ ენაში უნარ-ჩვევებისა და ცოდნის (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) შეძენა, რომელიც აუცილებელია ბაკალავრიატის, საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად.

19.6. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად სწავლას აგრძელებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით.

19.7. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები ვალდებული არიან ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის/ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლა განაგრძონ ქართულ ენაზე.

მუხლი 20. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია:

20.1. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

20.2. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

20.3. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში;

20.4. 20.4.საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ (უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში) და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატში/მაგისტრატურაში;

თავი VIII. უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა და აღდგენა

მუხლი 21. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლები

20.1. სტუდენტს შეიძლება შეუჩერდეს ან შეუწყდეს სტატუსი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

20.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

ბ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესება (თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა);

დ) ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოებები;

ე) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა;

ვ) აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის არ გავლა;

ზ) სასწავლო პროცესიდან მოწყვეტა:

ზ.1. დამატებით (minor) პროგრამებზე, ძირითადი (major) პროგრამის არჩევით კომპონენტებზე (მოდულები, კონცენტრაციები, არჩევითი სასწავლო კურსები, თავისუფალი კრედიტები) რეგისტრაციის არ გავლა უნივერსიტეტში დადგენილი წესით (ელექტრონული რეგისტრაცია; გაკეთებული არჩევანის დაფიქსირება დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით);

ზ.2. სწავლის გაგრძელების მიზანშეუწონლობა - სასწავლო სემესტრით გათვალისწინებული კრედიტების მთლიანი მოცულობის (30 კრედიტი) არ/ვერ ათვისება;

მუხლი 22. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება დ შეჩერების საფუძვლები

22.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

დ) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.

ე) პირადი განცხადება.

22.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის განმავლობაში.

22.3. აწსუ-ში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.

22.4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 23. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

23.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სტუდენტის მიერ სწავლების შესაბამის სასწავლო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

ბ) პირადი განცხადება;

გ) უნიერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტატუსის შეჩერება;

დ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სავალდებულო სასწავლო კურსში სამჯერ კრედიტის ვერ ათვისება;

ე) ამ ბრძანების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა;

ვ) მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე კომპლექსური საკვალიფიკაციო გამოცდის სამჯერ ჩაუბარებლობა;

ზ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევის გამო“;

თ) გარდაცვალება

ი) სტუდენტის სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადასვლა;

მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

24.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;

ბ) პროგრამის ნებაყოფლობით შეწყვეტის შესახებ პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადება;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (თუ ორჯერ ვერ გაიარა ერთი და იგივე კურსი, მას უწყდება სტუდენტის სტატუსი);

დ) ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის, ,,შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ე) გარდაცვალება.

24.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 25. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები

25.1. ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის, დოქტორანტურის, მასწავლებლის და ქართულ ენაში მოსამზადებელი სტუდენტის (პირის) სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით და გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

25.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

25.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 26. სტატუს შეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტის სტუდენტის სტატუსის აღდგენის წესით ჩარიცხვა

26.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების შესაბაბისად 2010 წლის 4 თებერვლამდე ყველა გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად და უფლებამოსილია ისარგებლოს აღდგენის უფლებით გარიცხვის/ამორიცხვის ბრძანების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში;

26.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 10 წლის გასვლის შემდეგ მისი ხელახალი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით);

26.3. სტუდენტი სტატუსის შეჩერებიდან 1-დან 5 წლამდე განმავლობაში უფლებამოსილია ისარგებლოს აღდგენის უფლებით. სტუდენტის სტატუსის აღდგენას სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში (სტუდენტის სტატუსს აღადგენს) ფაკულტეტის დეკანატი;

26.4. აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი, რომელიც აწსუ-ს არ მიმართავს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში, კარგავს აღნიშნულ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

26.5. აღდგენის წესით კონკურსანტების ჩარიცხვის პროცედურის წარმართვის მიზნით აწსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება მობილობის პროცესის წარმმართველი კომისია, რომელშიც შედიან: ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი - შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი, ფაკულტეტის დეკანის მიერ შეთავაზებული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი;

26.6. კომისიის საქმიანობას წარმართავს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. მდივანს ევალება სხდომის ოქმის წარმოება. სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით;

26.7. კომისიის დასკვნას ხელს აწერს: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი. კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს დასკვნას აღდგენის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ (იხ.დანართი№2);

26.8. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები;

26.9. აღდგენის მსურველი სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების თავსებადობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აწსუ. კრედიტების თავსებადობა დგინდება პირის მიერ წარდგენილ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. თავსებადობას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და

კრედიტების რაოდენობა ემთხვევა აწსუ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელებას, სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს, რომ სტუდენტის მიერ გავლილი და მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად, ურთიერთშესაბამისია. ასევე, დასაშვებია იმ სასწავლო კურსის თავსებადობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული აწსუ საგანმანათლებლო პროგრამით. მნიშვნელოვანია, სტუდენტი გაეცნოს აწსუ-ს დასკვნას მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ, რათა იმოქმედოს საკუთარი ინტერესის შესაბამისად;

26.10. აწსუ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მის მიერ დადგენილ ვადაში, რის შემდეგაც ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების აღდგენის შესაძლებლობის შესახებ;

26.11. აწსუ-ს უფლება აქვს აღდგენის წესით ჩარიცხოს მხოლოდ ის სტუდენტები, რომელზეც ცენტრმა გასცა დადებითი დასკვნა;

26.12. აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველმა პირებმა რეგისტრაციისათვის დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) ატესტატის ასლი;

ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდების სერთიფიკატის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;

დ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;

ე) სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის);

ვ) პირადობის მოწმობის ასლი;

ზ) მისამართი და ტელეფონის ნომერი.

3.13. განცხადების ფორმა აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველ სტუდენტებისათვის (იხ. დანართი№1).

მუხლი 27. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

27.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისათვის სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს აწსუ-ს რექტორს.

27.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება აწსუ-ს რექტორის ბრძანებით.

თავი IX. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა

მუხლი 28. მობილობის ზოგადი პროცედურა

28.1. უნივერსიტეტში მობილობა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 29. მობილობის პროცესის ადმინისტრირება

29.1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში აწსუ) სტუდენტთა გადმოსვლის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი);

29.2. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში;

29.3. აწსუ, მისთვის განსაზღვრული ადგილების საერთო რაოდენობის ფარგლებში, ცენტრის ელექტრონულ პორტალზე არეგისტრირებს მობილობის ვაკანტურ ადგილებს საფეხურებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

მუხლი 30. მობილობის უფლების წარმოშობა

30.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ცენტრის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი;

30.2. აწსუ-ში მობილობის უფლება ასევე აქვს 30.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

30.3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;

30.4. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან აწსუ-ში გადმოსვლის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე ერთი წლის სწავლების შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება;

30.5. სტუდენტს, რომელსაც შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, მობილობის უფლება აქვს სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში. სტუდენტი სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით. 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული ყველა სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად და უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარიცხვის/ამორიცხვის ბრძანების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში.

მუხლი 31. მობილობის მსურველთა რეგისტრაცია

31.1. მობილობის მსურველი რეგისტრირდება ცენტრის ელექტრონულ პორტალზე;

31.2. რეგისტრაცია ხორციელდება 11- ნიშნა პირადი ნომრით, რის შედეგადაც ელექტრონულ პორტალზე აისახება სტუდენტის სტატუსი შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

31.3. მობილობის მსურველი თავის ინდივიდუალურ გვერდზე ირჩევს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს ან/და პროგრამას, რომელზეც მობილობის მსურველად რეგისტრაცია სურს. სტუდენტს შეუძლია პრიორიტეტების მიხედვით რამდენიმე საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ან/და პროგრამის მითითება.

მუხლი 32. მობილობის უფლების მოპოვება

32.1. თუ აწსუ-ს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ დაწესებულების მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს;

32.2. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაწესებულების შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება ცენტრის ელექტრონულ პორტალზე (www.eqe.ge);

32.3. მობილობის უფლების მოპოვების შემდეგ სტუდენტი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ახლდეს სტუდენტის პირად საქმეში არსებული დოკუმენტების ასლები (პირადობის მოწმობა, ატესტატი, ჩარიცხვის ბრძანება, სტუდენტის სასწავლო ბარათი, სამხედრო მიწერის მოწმობა (ვაჟებისათვის)(იხ.დანართი №3);

32.4. მობილობის მსურველი, რომელიც აწსუ-ს არ მიმართავს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში, კარგავს აღნიშნულ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

32.5. აწსუ ადგენს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და ამზადებს შესაბამის დასკვნას;

32.6. მობილობის წესით კონკურსანტების ჩარიცხვის პროცედურის წარმართვის მიზნით აწსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება მობილობის პროცესის წარმმართველი კომისია, რომელშიც შედიან: ფაკულტეტის დეკანი (კომისიის თავმჯდომარე) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კომისიას აქვს უფლება კონსულტაციისთვის მოიწვიოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი/ები;

32.7. კომისიის საქმიანობას წარმართავს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი (ერთ-ერთი კომისიის წევრებიდან). მდივანს ევალება სხდომის ოქმის წარმოება;

32.8. კომისიის დასკვნას ხელს აწერს: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი. კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ (იხ.დანართი№4);

32.9. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები;

32.10. აწსუ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამისად და მის მიერ დადგენილ ვადაში,

რის შემდეგაც ცენტრი ამოწმებს დაწესებულების ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და მოამზადებს დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ;

32.11. მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების თავსებადობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აწსუ. კრედიტების თავსებადობა დგინდება პირის მიერ წარდგენილ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. თავსებადობას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში ათვისებული - კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა აწსუ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელებას, სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს, რომ სტუდენტის მიერ გავლილი და აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად, ურთიერთშესაბამისია. ასევე, დასაშვებია იმ სასწავლო კურსის თავსებადობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული აწსუ საგანმანათლებლო პროგრამით. მნიშვნელოვანია, სტუდენტი გაეცნოს აწსუ-ს დასკვნას მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ, რათა იმოქმედოს საკუთარი ინტერესის შესაბამისად, წერილობითი უარი განაცხადოს მობილობაზე ან დაელოდოს ბრძანების გამოცემას და ჩაირიცხოს მობილობით. სტუდენტს მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმა შეუძლია წერილობით მისი მობილობით ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე;

32.12. აწსუ-სუფლება აქვს მობილობის წესით ჩარიცხოს მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებზეც ცენტრმა გასცა დადებითი დასკვნა.

მუხლი 33. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა

33.1. უნივერსიტეტში შიდა მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვის, უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანამანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა გადასვლისა და კრედიტების აღიარების პროცედურები რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვალს დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად.

მუხლი 34. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირება

34.1. აწსუ-ს შიგნით სტუდენტთა მობილობის პროცესს წარმართავს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

34.2. აწსუ-ში შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ. შიდა მობილობის წესით ვაკანტური ადგილების დაკავების უფლება მიეცემა სტუდენტებს სწავლების მეორე სემესტრიდან. სწავლების აღნიშნულ პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 35. შიდა მობილობის მსურველთა რეგისტრაცია

35.1. შიდა საუნივერსიტეტო მობილობის მსურველმა დადგენილი ფორმის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის ბეჭდითა და ხელმოწერით;

ბ) ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;

გ) ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) მისამართი და ტელეფონის ნომერი;

35.2. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო ბარათი სრულად უნდა ასახავდეს სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების რაოდენობას და მასში სასწავლო კურსის დასახელება მითითებული უნდა იყოს სრულყოფილად და გარკვევით. დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს სასწავლო დაწესებულების შესაბამისი სამსახურის მიერ;

35.3. განცხადების ფორმა შიდა საუნივერსიტეტო მობილობის მსურველი სტუდენტებისთვის (იხ. დანართი №4);

35.4. მობილობის მსურველი ირჩევს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს ან/და პროგრამას, რომელზეც მობილობის მსურველად რეგისტრაცია სურს. სტუდენტს შეუძლია პრიორიტეტების მიხედვით რამდენიმე ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ან/და პროგრამის მითითება (მაქსიმუმ 3).

მუხლი 36. მობილობის უფლების მოპოვება

36.1. სტუდენტები ვაკანტურ ადგილებს დაიკავებენ კონკურსის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმ პირობის დაცვით, რომ კონკურსანტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული არჩევითი დისციპლინა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით დისციპლინას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებს მობილობის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

36.2. მობილობის მსურველი, რომელიც აწსუ-ს არ მიმართავს განცხადებით ჩარიცხვის თაობაზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში, კარგავს აღნიშნულ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

36.3. მობილობის წესით კონკურსანტების ჩარიცხვის პროცედურის წარმართვის მიზნით აწსუ-ს რექტორის ბრძანებით იქმნება თითოეულ ფაკულტეტზე მობილობის პროცესის წარმმართველი კომისია, რომელშიც შედიან: ფაკულტეტის დეკანი (კომისიის თავმჯდომარე) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კომისიას აქვს უფლება კონსულტაციისთვის მოიწვიოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი/ები;

36.4. კომისიის საქმიანობას წარმართავს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. მდივანს ევალება სხდომის ოქმის წარმოება. სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უმრავლესობით;

36.5. კომისიის დასკვნას ხელს აწერს: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი. კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე

ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ (იხ.დანართი№6);

36.6. თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები;

36.7. შიდასაუნივერსიტეტო მობილობის წესით მსურველი სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების თავსებადობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და დასკვნას ამზადებს შესაბამისი კომისია. კრედიტების თავსებადობა დგინდება პირის მიერ წარდგენილ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა აწსუ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელებას, სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას. თავსებადობას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც სტუდენტი ჩაირიცხა და სწავლობდა კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისად. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს, რომ სტუდენტის მიერ გავლილი და აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად, ურთიერთშესაბამისია. ასევე, დასაშვებია იმ სასწავლო კურსის თავსებადობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით. მნიშვნელოვანია, სტუდენტი გაეცნოს დასკვნას, რათა იმოქმედოს საკუთარი ინტერესის შესაბამისად, წერილობითი უარი განაცხადოს მობილობაზე ან დაელოდოს ბრძანების გამოცემას და ჩაირიცხოს მობილობით. სტუდენტს მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმა შეუძლია წერილობით, მისი მობილობით ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე.

თავი X . სწავლის პერიოდში უნივერსიტეტში მიღებული განათლების აღიარება

მუხლი 37. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

37.1. სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ დასკვნას ამზადებს რექტორის ბრძანებით ამ მიზნით შექმნილი საფაკულტეტო კომისია ფაკულტეტის დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კომისიას აქვს უფლება კონსულტაციისთვის მოიწვიოს შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი/ები;

37. 2. მობილობის ან აღდგენის წესით მსურველი სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების თავსებადობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და დასკვნას ამზადებს შესაბამისი კომისია. კრედიტების თავსებადობა დგინდება პირის მიერ წარდგენილ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე. სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება პროგრამით გავლილი სასწავლო კურსები, თუ მათი დასახელება, სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა აწსუ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსის დასახელებას სწავლის შედეგებს და კრედიტების რაოდენობას. თავსებადობას ექვემდებარება იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები,სტუდენტი ჩაირიცხა და სწავლობდა კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისად. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად, შესაძლებელია დადგინდეს, რომ სტუდენტის მიერ გავლილი და აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად, ურთიერთშესაბამისია. ასევე, დასაშვებია იმ სასწავლო კურსის თავსებადობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული მიმღები საგანმანათლებლო პროგრამით. მნიშვნელოვანია, სტუდენტი გაეცნოს დასკვნას, რათა იმოქმედოს საკუთარი ინტერესის შესაბამისად, წერილობითი უარი განაცხადოს მობილობაზე ან დაელოდოს ბრძანების გამოცემას და ჩაირიცხოს მობილობით. სტუდენტს მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმა

შეუძლია წერილობითი განცხადების მიმართვის გზით, მისი მობილობით ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე;

37.3. აღიარებული კრედიტებიდან გამომდინარე, მიმღებ პროგრამაზე არსებული წინაპირობების დაცვით და იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტს შეუძლია აითვისოს წლის განმავლობაში არა უმეტეს 75 კრედიტისა, სტუდენტს განესაზღვრება პროგრამაზე ჩარიცხვის სემესტრი, რომლიდან სწავლის გაგრძელებაც საშუალებას იძლევა საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულოს არაუმეტეს ერთი დამატებითი სემესტრის გამოყენებით;

37.4. საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და მათი გამოცხადების გრაფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია სტუდენტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა, რაც სტუდენტს ეცნობება წინასწარ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ;

37.5. თუ სტუდენტის მიერ განვლილი სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა 40%-ით ნაკლებია უნივერსიტეტის შესაბამისი საგნის კრედიტულ მოცულობაზე, მაშინ ამ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, აღნიშნული სასწავლო კურსის თავსებადობის შემთხვევაში, კომისია სტუდენტს კრედიტებს უღიარებს იმ კრედიტული მოცულობის შესაბამისად, რომლითაც ეს საგანი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამაში;

37.6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა აწსუ-ს სასწავლო კურსების დასახელებას, კომისია უფლებამოსილია:

-სპეციალური/ძირითადი საგანი აღიაროს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურიკულუმის სასწავლო კურსების თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე;

37.7. თუ სტუდენტს აწსუ-ს კურიკულუმთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს შეფასება 5 ბალიანი სისტემით, მაშინ 100 ქულიან სისტემას ეთავსება შემდეგი პრინციპით:

5	100
4	80
3	60
ჩთ.	100

37.8. თუ სტუდენტის პირველადი უსდ-ში მოქმედია კრედიტების მინიჭების განსხვავებული სისტემა, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ-ს მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განმარტებულია ამ სისტემის შესაბამისობა ECTS სისტემასთან.

37.8.1. სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უსდ-ს მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (ოფიციალური დოკუმენტი), რომელშიც მითითებული იქნება: თითოეული სასწავლო კურსი (რამდენი კვირის მანძილზე სწავლობდა სტუდენტი ამ სასწავლო კურსს და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას);

37.8.2. აღნიშნულ კურსს პირობითი კრედიტები მინიჭება შემდეგი სისტემით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და მიღებული საათების რაოდენობა იყოფა 25-ზე ანუ 1 კრედიტის საათობრივ რაოდენობაზე. გადაანგარიშებული არამთელი კრედიტები უნდა დამრგვალდეს მთელ რიცხვამდე.

37.9. სტუდენტს ეძლევა უფლება წელიწადში აითვისოს 75 კრედიტი (სემესტრში არაუმეტეს 40 კრედიტის ოდენობით).

თავი XI. უნივერსიტეტში კვალიფიკაციის მინიჭების წესი

მუხლი 38. კვალიფიკაციის მინიჭება

38.1. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას კომისიური წესით.

38.2. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საფაკულტეტო კომისია მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით. კომისიის შემადგენლობაში შედის: ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, შესაბამისი ფაკულტეტის მდივანი და აუცილებლობის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნას პროგრამის ხელმძღვანელი.

38.3. კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები. სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის.

38.4. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და პროგრამის დასახელება.

38.5. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

38.6. პირს, რომელმაც არ, ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, ან არ რეგისტრირდება დამატებით სემესტრში უჩერდებაა სტუდენტის სტატუსი.

38.7. ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას:

ა) სტუდენტისათვის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე, რაც დაუყოვნებლივ აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში, ხოლო აწსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას ამ სტუდენტისათვის დიპლომის შესაბამისი სტანდარტული დანართით გაცემის შესახებ;

ბ) აწსუ-ს წესდებითა და ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირისათვის აწსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

38.8. სამაგისტრო ნაშრომში აღმოჩენილი აკადემიური სიყალბის (პლაგიატის) დადასტურების შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით გაბათილდება ამ სტუდენტისათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება, რაც თავის მხრივ, მასზე დიპლომის გაცემის შესახებ არის საფუძველი აწსუ-ს რექტორის ბრძანების გაუქმებისა.

მუხლი 39. დოქტორის კვალიფიკაციის მინიჭება

დოქტორის აკადემიური ხარისხის კვალიფიკაციის მინიჭება განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით (ოქმი № 1, 5. 09.2007).

მუხლი 40. პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭება

40.1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციას დადგენილი წესის თანახმად ანიჭებს შესაბამის ფაკულტეტზე შექმნილი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია.

40.2. კვალიფიკაციას ადასტურებს უნივერსიტეტის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული პროფესიული დიპლომი.

40.3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.

თავი X . საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 41. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში:

41.1.საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაცია სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებული პროგრამაზე, ხოლო გაუქმების შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე, მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დასესებულებაში.

41.2. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში აწსუ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს, ხელს უწყობს შიდა და გარე მობილობის პროცესში და კონსულტირებას უწევს შესაბამისი პროგრამების შერჩევაში.

თავი XI. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

მუხლი 42. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

- მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო
- კვლევაში;
- კრედიტის მოსაპოვებლად სამჯერ მოისმინოს ერთი და იგივე სასწავლო
- კურსი.
- ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიუალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო,
- საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
- მოითხოვოს ცოდნის ობიექტური შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
- მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
- პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება.

მუხლი 43. სტუდენტი ვალდებულია

43.1. დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი;

43.2. დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

43.3.დაიცვას უნივერსიტეტის მიერ მომსახურებისთვის დადგენილი ვადები;

43.4.გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

43.5.დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;

43.6.გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

მუხლი 44. სტუდენტისათვის შეუფერებელ არაეთიკურ ქცევად ჩაითველება

- პლაგიატი- ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;
- თამბაქოს მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;
- უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა
- სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;
- შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან
- ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

დანართი №1

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს

----------ფაკულტეტის
----------სპეციალობის
-------- კურსის ყოფილი სტუდენტის (სახელი; გვარი)----------
----------ინგლისურ ენაზე------

მცხოვრები ----------
პირადი ნომერი ----------
ტელეფონის ნომერი----------
ელ-ფოსტა:----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვსწავლობდი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ----------
---
----------ფაკულტეტის,----------

სპეციალობის-------კურსზე. შემიჩერდა/შემიწყდა სტუდენტის სტატუსი ფინანსური/აკადემიური დავალიანების გამო.

გთხოვთ, აღმადგინოთ სტუდენტის უფლებებში შესაბამის სპეციალობაზე ----------
---
სემესტრიდან, რისთვისაც 2 ეგზემპლიარად წარმოგიდგენთ შემდეგ თანდართულ დოკუმენტაციას:

1. ატესტატის ასლი;
2. სერთიფიკატის (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში) ასლი;
3. სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;
4. ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
5. ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხვის/სტატუსის შეჩერების შესახებ;
6. ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
7. პირადობის მოწმობის ასლი;

განმცხადებელი:----------

(რიცხვი, თვე,წელი)

დანართი 2

დასკვნა

აღდგენის მსურველი სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სტუდენტის გვარი, სახელი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ნომერი (არსებობის შემთხვევაში):	
ფაკულტეტის დასახელება:	
გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო/პროფესიული):	
საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წელი, ბრძანების ნომერი:	
საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების წელი, ბრძანების ნომერი:	
სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების მიზეზი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:						
სწავლის პერიოდში სტუდენტის მიერ ათვისებული ყველა სასწავლო კურსი	სასწავლო კურსის მოცულობა		შეფასება	აღდგენის მომენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის აღიარებული სასწავლო კურსების დასახელება	სასწავლო კურსის მოცულობა	
	ECTS კრედიტი	საკონტაქ-ტო			ECTS კრედიტი	საკონტაქტო სათები

სულ:						

ინფორმაცია სტუდენტის მიერ დაგროვილი და ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესახებ:	
სტრუდენტის მიერ სწავლის შეწყვეტამდე ათვისებული კრედიტების რაოდენობა, რომლებიც აღიარებული იქნა ახალი პროგრამის მიზნებისათვის:	
აღდგენის მომენტისთვის არსებულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი განსხვავებული კრედიტების საერთო რაოდენობა:	

განსხვავებული სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სავარაუდო განაწილება სემესტრებისა და სასწავლო წლების მიხედვით:			
№	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედიტი	სასწავლო კურსის ათვისების დრო (სასწავლო წელი და სემესტრი)
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა			

დასკვნა

განიხილეს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის ---------- (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო) პროგრამის ..... **სემესტრის** სტუდენტის ---------- , ---------- (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო) პროგრამაზე სტუდენტის უფლებების აღდგენის საკითხი.

დაადგინეს, რომ სტუდენტ ----------სტუდენტის უფლებების აღდგენა რეკომენდირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ---------- ფაკულტეტის ------(საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო) პროგრამაზე ---------- **სემესტრიდან.**

სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის წარმმართველი
საფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარე: ----------

ბ.ა

დანართი №3

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორს

----------უნივერსიტეტის
სტუდენტის (სახელი; გვარი)----------

ინგლისურ ენაზე ----------

მცხოვრები ----------

პირადი ნომერი ----------
ტელეფონის ნომერი----------
ელ-ფოსტა:----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ ---------- უნივერსიტეტის

ფაკულტეტის

სპეციალობის
------- სემესტრის სტუდენტი.

სურვილი მაქვს მობილობის წესით გადმოვიდე და სწავლა გავაგრძელო აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტში----------
--ფაკულტეტის

საგანმანათლებლო პროგრამაზე

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტები:

1. ატესტატის ასლი;
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების სერთიფიკატის ან სახელმწიფო გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;
4. ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
5. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის)
6. პირადობის მოწმობის ასლი;

განმცხადებელი:----------

(რიცხვი, თვე, წელი)

დანართი №4

.

დასკვნა

მობილობის მსურველი სტუდენტის მიერ ათვისებული სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სტუდენტის გვარი, სახელი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ნომერი:	
უსდ-ს დასახელება საიდანაც გადმოდის სტუდენტი:	**შიდა მობილობა** (ეს ჩანაწერი მიეთითება შიდა მობილობის შემთხვევაში!)
უსდ-ს ტიპი:	
ფაკულტეტის დასახელება:	
გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო/პროფესიული):	
სწავლების სემესტრი:	
საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წელი, ბრძანების ნომერი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:	

სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების ანალიზი:				
სტუდენტის მიერ სწავლის პერიოდში ათვისებული ყველა	**სასწავლო კურსის მოცულობა,**	**შეფასება**	**მიმღები ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის აღიარებული სასწავლო კურსების დასახელება**	**სასწავლო კურსის მოცულობა,**

სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედი-ტი	საკონტაქტო სთ			ECTS კრედიტი	საკონტაქ-ტო საათები

ინფორმაცია სტუდენტის მიერ დაგროვილი და ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესახებ:	
სტრუდენტის მიერ სხვა უსდ-ში ათვისებული კრედიტების რაოდენობა, რომლებიც აღიარებული იქნა აწსუ–ს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის:	
მიმღები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასათვისებელი განსხვავებული კრედიტების საერთო რაოდენობა:	

განსხვავებული სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სავარაუდო განაწილება სემესტრებისა და სასწავლო წლების მიხედვით:			
№	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS კრედიტი	სასწავლო კურსის ათვისების დრო (სასწავლო წელი და სემესტრი)
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			
7.			
8.			

დასკვნა

განიხილეს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------
---- ფაკულტეტის ----------
(საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო,ერთსაფეხურიანი) პროგრამის ..... **სემესტრის** სტუდენტის ---------- , ----------
(საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო,ერთსაფეხურიან) პროგრამაზე სტუდენტის მობილობის ჩარიცხვის საკითხი.

დაადგინეს, რომ სტუდენტ ---------- მობილობის წესით ჩარიცხვა რეკომენდირებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ----------
---------- ფაკულტეტის ----------
----------(საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო) პროგრამაზე -----
-------- **სემესტრიდან.**

სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის წარმმართველი
საფაკულტეტო კომისიის თავმჯდომარე: ----------

ბ.ა

დანართი №5

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორს

პროფესორ გიორგი ღავთაძეს

ფაკულტეტის
----------სპეციალობის
---------- კურსის სტუდენტის (სახელი; გვარი) ----------
----------ინგლისურ ენაზე ----------

მცხოვრები ----------
პირადი ნომერი ----------
ტელეფონის ნომერი----------
ელ-ფოსტა:----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვსწავლობ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ----------

----------ფაკულტეტის,----------

სპეციალობის-------კურსზე.

სურვული მაქვს სწავლა გავაგრძელო ----------

ფაკულტეტის ---------- სპეციალობაზე, რისთვისაც წარმოგიდგენთ შემდეგ თანდართულ დოკუმენტაციას:

1. სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდითა და ხელმოწერით;
2. ერთიანი ეროვნული გამოცდების სერთიფიკატის ან სახელმწიფო გრანტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
4. ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
5. პირადობის მოწმობის ასლი;

ამასთან გაცნობებთ, რომ:

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევითი საგნის სახით ჩაბარებული მაქვს ----------
---------- (პირველი საფეხურის ფარგლებში მობილობის მსურველთათვის)

საერთო სამაგისტრო გამოცდაზე ჩაბარებული მაქვს ----------
ტიპის ტესტი (მაგისტრატურის ფარგლებში მობილობის მსურველთათვის)

ვაცნობიერებ, რომ პროგრამების არათავსებადობის შემთხვევაში შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის საჭირო დრო აღემატებოდეს პროგრამის ნომინალურ ხანგრძლივობას.

განმცხადებელი:----------

(რიცხვი, თვე,წელი)

დანართი №6

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
პროფესორ გიორგი ღავთაძეს

----------ფაკულტეტის
----------სპეციალობის
-------- კურსის ყოფილი სტუდენტის (სახელი; გვარი)----------
----------ინგლისურ ენაზე------

მცხოვრები ----------
პირადი ნომერი ----------
ტელეფონის ნომერი----------
ელ-ფოსტა:----------

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვსწავლობდი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ----------
---
----------ფაკულტეტის,----------

სპეციალობის-------კურსზე. შემიჩერდა/შემიწყდა სტუდენტის სტატუსი ფინანსური/აკადემიური დავალიანების გამო.

გთხოვთ, აღმადგინოთ სტუდენტის უფლებებში შესაბამის სპეციალობაზე ----------
---
სემესტრიდან, რისთვისაც 2 ეგზემპლიარად წარმოგიდგენთ შემდეგ თანდართულ დოკუმენტაციას:

1. ატესტატის ასლი;
2. სერთიფიკატის (ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში) ასლი;
3. სასწავლო ბარათის (ნიშნების ფურცელი) ქსეროასლი, დამოწმებული სასწავლებლის ბეჭდითა და ხელმოწერით;
4. ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ;
5. ამონაწერი ბრძანებიდან საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხვის/სტატუსის შეჩერების შესახებ;
6. ცნობა ფინანსური სამსახურიდან საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ფინანსური ვალდებულების შესრულების მდგომარეობის შესახებ;
7. პირადობის მოწმობის ასლი;

განმცხადებელი:----------

(რიცხვი, თვე,წელი)